

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1

მევენახეობის გეოგრაფიული ანალიზი: რაჭა-ლეჩხუმი

ხელმძღვანელი: ნოდარ ელიზბარაშვილი

სრული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

თეონა ქობალია

თბილი

სარჩევი

ანოტაცია	3
Annotation	4
1. მევენახეობა საქართველოში.....	5
2. რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონის ზოგადგეოგრაფიული დახასიათება.	8
ამბროლაური.....	8
ცაგერი	11
3.რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა.....	13
4.რაჭა-ლეჩხუმის ძირითადი მიკროზონები და სამეურნეო ჯიშები	15
დასკვნა.....	21
გამოყენებული ლიტერატურა:	22

ანოტაცია

საქართველოში ვენახის ჯიშების ფორმირების პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. სამეურნეო ჯიშები კლიმატურ და ნიადაგურ პირობებთან შეგუებული და ჩამოყალიბებული ადგილობრივი ვაზის ჯიშებია. ბუნებრივი პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა ვაზის უნიკალური ჯიშები, რომელიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული წარმოშობის ადგილს.

ზოგიერთი გეოგრაფიული (ნიადაგობრივი, კლიმატური და ეკონომიკური) პირობების მიხედვით საქართველო იყოფა მევენახეობის ხუთ ზონად. მათ შორის ერთ-ერთია რაჭა-ლეჩხუმის ზონა, სადაც გამოიყოფა ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის ქვეზონები, ხვანჭკარისა და ტვიშის მიკროზონები, რომლებიც ცნობილია არსებული აბორიგენული, უნიკალური ვაზის ჯიშებით. ორივე მიკროზონის ვაზის ჯიშებზე და აქ წარმოებულ ღვინოებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას და მიგრაციული პროცესების პრევენციას.

ამჟამად რაჭა - ლეჩხუმში ვენახები გაშენებულია 1000 ჰექტრამდე, თუმცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული გასულ ათწლეულებთან შედარებით, ვაზის დაავადებათა გავრცელებასა და მოსახლეობის შემცირებას უკავშირდება. სამეურნეო ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 400–800 მეტრზე.

Annotation

The process of forming vine varieties in Georgia has long history. Agricultural varieties are local vine varieties that are adapted to climatic and soil conditions. Due to changes of natural conditions unique varieties of vines have been created over the centuries that are closely related to the area of origin.

According to some geographical (soil, climatic and economic) conditions Georgia is divided into five viticulture zones, one of them is the Racha-Lechkhumi zone, Where the subzones of Kvemo Racha and Lechkhumi and Khvanchkara and Tvishi microzones, which are known for their existing Aboriginal, unique vine varieties. Demand is increasing every year for the wines produced here and for both microzone vine varieties, wich determine the socio-economic sustainability of the local population and prevention of migration processes.

Nowadays the vineyards in Racha - Lechkhumi are cultivated up to 1000 hectares, however, this indicator is significantly lower than in previous decades, which happened because of spread of disease and negative migration. Agricultural vineyards are cultivated 400–800 meters above sea level in a tectonically active region.

1. მევენახეობა საქართველოში

ვაზის ველური წინაპრები გადაშენდნენ, ამჟამად არსებული ჯიშები სრულიად განსხვავდება მისი წინაპრისგან და ის ადამიანის მიერ შექმნილი სახეობაა. საქართველო ითვლება კულტურული ვაზის (*V. vinifera* L) წარმოშობის ერთ-ერთ პირველ ცენტრად. აქედან, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს ამერიკაში. თუმცა, ქართული მასალების ასაკი და სახეობათა სრულყოფილება ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში ვაზის მოშენებისა და ღვინის დამზადების მეურნეობას საქართველოში 8000 წლის ისტორია აქვს. საქართველოში ვაზის ხანგრძლივი კულტივირების დამადასტურებელია თესლების არქეოლოგიური ნარჩენები. მსგავსი მასალა, ჯერჯერობით მსოფლიო არქეოლოგიის ისტორიაში ცნობილი არ არის.

გამოჩენილმა შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა - დეკანდოლმა, როგორც წინა აზია, ასევე საქართველო უყოყმანოდ ვენახის უძველეს ეპიცენტრად აღიარა. კულტურის ისტორიკოს გერმანელ ჰენს "ვენახის ჭეშმარიტ სამშობლოდ" კახეთისა და სამეგრელოს მიწა მიაჩნდა; იქ, სადაც "ულრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზი ხეთა კენწეროებამდე აცოცებულა და თვალს იზიდავს ზორბა მტევნებით". მეცნიერი ჰუგ ჯონსონი არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ეთანხმება ქართველი და უცხოელი მეცნიერების აზრს, რომ ვაზის კულტურაში შემოტანა საქართველოშია დაწყებული.

ცნობები ქართული მეღვინეობის და მევენახეობის შესახებ ძვ. წელთაღრიცხვიდან მოიპოვება. ქსენოფონტესისა (431 წ. ჩვენს ერამდე) და სტრაბონის (200 წ. ჩვენს ერამდე) ცნობით, საქართველოში მევენახეობა და მეღვინეობა კარგად იყო განვითარებული.

სტრაბონის მიერ გადმოცემული ცნობებიდან ირკვევა, რომ ვაზი ფართოდ ყოფილა გავრცელებული ალბანეთ-კახეთის (იბერია) ტერიტორიაზე, მევენახეობა-მეღვინეობის ეკონომიკური ეფექტიანობა წარსულშიც მაღალი იყო, რასაც ადასტურებს არაერთი და ორი ცნობა ღვინის ექსპორტის შესახებ.

ცნობებს ქართული მევენახეობის შემონახულია ვახუშტი ბაგრატიონს შრომებში, მას სოფლის მეურნეობა კარგად ქონდა განხილული. ვახუშტი მოსავლიანობის აღწერის დროს აღნიშნული აქვს სადამდეც იყო მევენახეობის განვითარების ზონა და რომლის ზევითაც ვაზი, ან ვაზთან ერთად ხეხილიც, უკვე აღარ ვრცელდებოდა. საქართველოს მევენახეობის შესახებ

ასევე მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ჟან შარდენის ნაშრომში: “ვაზი იქ ხეებზე ადის...”

ივ. ჯავახიშვილი “საქართველოს ეკონომიური ისტორიის” II ტომში ძირეულად განიხილავს მევენახეობას და ძველი საქართველოს ჩათვლით 413 ვაზის ჯიში აქვს აღნიშნული. ამ 413 ჯიშისაგან რაჭა-ლეჩხუმში _ 94 ყოფილა გარვცელებული. საქართველოში საერთოდ 420-მდე ყურძნის სახესხვაობის სახელწოდება ყოფილა შემორჩენილი. დასახელებული შრომის გამოქვეყნების შემდეგ მკვლევრებმა ბევრი რამ დააზუსტეს და ამჟამად საქართველოში 500-ზე მეტი ჯიშია აღრიცხული. ვაზი ჯიშები გამოყვანილი იყო საქართველოს ბუნებრივი პირობების მიხედვით და თვისებებით სავსებით შეეფერებოდა იმ მიკრორაიონებს, რომლებისათვისაც გამოჰყავდათ. როგორც დადგინდა საქართველოში 500-ზე მეტი ჯიშია ივ. ჯავახიშვილს “ეკონომიურ ისტორიაში” მხოლოდ 420 ჯიშამდე აქვს დასახელებული, ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის ეყრდნობოდა ლიტერატურულ წყაროებს, რომლებშიც ყველა ჯიში არაა ასახული.

საქართველოს ვაზი ჯიშობრივი შემადგენლობა საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. სამეურნეო ჯიშებს წარმოადგენს ჰავასა და ნიადაგურ პირობებთან კარგად შეგუებული ადგილობრივი ვაზის ჯიშები. საქართველოს რელიეფის თვისებურებებმა, ნიადაგისა და ჰავის პირობების ცვალებადობამ მცირე ტერიტორიებზე არსებითი გავლენა მოახდინა ვაზის ჯიშობრივ შემადგენლობაზე. ბუნებრივი პირობების ცვალებადობიდან გამომდინარე საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავდა ვაზის განსხვავებული ჯიშები, რომელიც არ სცილდებოდა (ხშირად ახლაც არ სცილდება) წარმოშობის ადგილს. ვაზის ჯიშების ასეთი თავმოყრა მევენახეობის ცალკეულ რაიონების მიხედვით სრულ უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ ისინი კახეთის, იმერეთის, ქართლის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, აფხაზეთის, აჭარისა და სხვა რაიონების ვაზის ადგილობრივ ჯიშებად. შეგროვილი 500-მდე ქართული ვაზის ჯიშიდან ფილოქსერასა და სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგ ჯიშების ერთი ნაწილი დაიღუპა, რადგან ამ ავადმყოფობებთან ბრძოლის მეთოდები საქართველოში ცნობილი არ იყო და შემორჩენილია მხოლოდ მათი სახელები, ზოგიერთი კი შემორჩენილია ერთეული ძირების სახით. ვაზის ადგილობრივი ჯიშების დამახასიათებელი თავისებურებები მათ მრავალფეროვნებაში გამოიხატება, ასევე მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების ფართო ცვალებადობაში, რის გამოც ქართული ვაზის ჯიშების

ერთ ეკოლოგიურ ჯგუფზე მიკუთვნების საშუალებას არ იძლევა. საქართველოში ვაზი ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე (ზოგან 1400 მეტრამდე) ვრცელდება, მევენახეობისთვის განსაკუთრებით კარგი პირობებია 1000 მ-მდე. მიუხედავად იმისა რომ ვაზი მოცემულ სიმაღლეზე თითქმის ყველგან ხარობს, ზოგან ქარი უშლის, ზოგან სინესტე, ზოგან ზედმეტი სიმშრალე, ზოგან კირის ჭარბე, ან სიმცირე და სხვ. ვენახისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მზე; მზიან ადგილას დამწიფებულ ყურძენს შაქარი ყოველთვის 15-20%-ზე მეტი აქვს. ამიტომ ძირითადად ვენახები ჩვეულებრივ გაშენებულია მზიან ფერდობებზე. მზესათან ერთად ვენახისთვის მნიშვნელოვანია შეზავებული ტენი ნიადაგში; ზედმეტი ტენი და ჩრდილი საზიანოა.

საქართველოს ეკოლოგიური პირობები სხვადასხვა კუთხის მიხედვით, მეტად მრავალფეროვანია. საქართველოს რეგიონები და მუნიციპალიტეტები ნიადაგობრივი, კლიმატური და ეკონომიკური პირობების შესაბამისად **საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ზონები დაყოფილია შემდეგ ძირითად ზონებად, ქვეზონებად და მიკროზონებად:**

აღმოსავლეთ საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოში გამოიყოფა 2: კახეთის და ქართლის ზონა.

I ზონა: კახეთი, დაყოფილია შიდა კახეთი და გარე კახეთის ქვეზონებად და ეს ქვეზონები თავისმხრივ მიკროზონებად: წინანდალი, თელიანი, ნაფარეული, ვაზისუბანი, მუკუზანი, ახაშენი, გურჯაანი, კარდენახი, ტიბაანი, ქინძმარაული, მანავი, ენისელი და გრემი.

II ზონა: ქართლი დაყოფილია ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და მესხეთის ქვეზონებად, აღნიშნული ზონა მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების (ლიახვის, ქსნის) ვრცელ აუზში. ვენახები განლაგებულია ზღვის დონიდან 450-700 მ. სიმაღლეზე.

დასავლეთ საქართველო

დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა 3 ზონა: იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და შავი ზღვის სანაპირო ზონები.

III ზონა: იმერეთი, დაყოფილია ზემო იმერეთის, შუა იმერეთის და ქვემო იმერეთის ქვეზონებად, სადაც გამოყოფილია ვარციხის მიკროზონა.

IV ზონა: რაჭა-ლეჩხუმი, იყოფა ქვემო რაჭას, ლეჩხუმის ქვეზონებად და თავის მხრივ ხვანჭკარის და ტვიშის მიკროზონებად.

V ზონა: შავი ზღვის სანაპირო ზონა დაყოფილია გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთის ქვეზონებად.

2. რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონის ზოგადგეოგრაფიული დახასიათება.

ამბროლაური - მდებარეობს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინცია - რაჭაში. იგი მიეკუთვნება რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ადმინისტრაციულ რეგიონს. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ონის, დასავლეთით ცაგერის, ჩრდილოეთით - ლენტეხის, სამხრეთ-აღმოსავლეთით საჩხერის რაიონები, სამხრეთით - ტყიბული, წყალტუბო და ჭიათურა. რაიონის ტერიტორიის ფართობი 1142 კმ²-ია.

რელიეფი. რაიონის ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება რაჭის ქედი. რელიეფი უმეტესად საშუალო და მაღალმთიანი მთა-ხეობებია. სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი გასდევს რაჭის ქედს, რომლის ჩრდილოეთი კალთა ამბროლაურის რაიონში შედის. ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ლეჩხუმის ქედით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მდინარეების: ლუხუნისწყალისა და საკაურის წყალგამყოფზე წარმოდგენილია ლეჩხუმისა და რაჭის ქედების განშტოებებით. ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბალი ადგილი რაჭის ქვაბულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია (ზღ.დ. 500 მ). რელიეფის ჩამოყალიბებაში ტექტონიკურ და ეროზიულ პროცესებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეოთხეულმა გამყინვარებამ.

რაჭის ქვაბულის (სოფელ წესიდან ქვიშარამდე) ფერდობებზე მიმდინარე აქტიური მეწყრული პროცესები წარმოდგენილია რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობებზე და ლეჩხუმის ქედზე. აქტივობით გამოირჩევა ბუგეულის, ჩორჯოს, ხვანჭკარას, ჟოშხის, ზნაკვის, აბანოეთის მეწყრული სხეულები. რაჭის ქვაბულში კარგად არის განვითარებული ღვარცოფები, რომლებიც შერეული გენეზისაა. აქტიური ღვარცოფები დაკავშირებულია მეწყრული პროცესების გააქტიურებასთან. რაიონის ორივე მხარეზე მძლავრი გამოზიდვის კონუსებია. ქვემო რაჭის რელიეფი ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას განიცდის. ამ მხრივ გამოირჩევა რაჭის ქვაბული. ხშირად ღვარცოფების და მეწყრების გააქტიურება ანთროპოგენურ პროცესებთან არის დაკავშირებული.

ჰავა. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამბროლაურის რაიონის (ქვემო რაჭის) კლიმატი გარდამავალია ზომიერსა და ნოტიო სუბტროპიკულს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ამბროლაურის რაიონში კლიმატური თავისებურებები მთიანი რეგიონებში

ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრთა განაწილების კანონზომიერებას ექვემდებარება. ამიტომ, რომ ამ რაიონში ჰავის ყველა პარამეტრს მკვეთრად გამოხატული სიმადლითი ზონალობა ახასიათებს. ამბროლაურის რაიონის დაბალმთიანეთში ზომიერად ცივ ზამთრიანი და შედარებით ცხელ ზაფხულიანი ჰავის ტიპია გაბატონებული, მაღალმთიანი ზონისათვის კი უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 9 - 10⁰-ია (დაბალ ზონაში), ზოგან კი 4 - 5⁰ (მთიანეთში). რაიონის დაბალ ნაწილში იანვრის საშუალო ტემპერატურა 1.5 - 4⁰ ია, ივლისისა კი 18 - 24 - ის ფარგლებში მერყეობს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000 - 1500 მმ -ია, მთებში კი ეს პარამეტრი 1600 - 1800 მმ - აღწევს. ოროგრაფიული დახშულობის გამო, ამბროლაურის რაიონში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ვაკეებსა და მთისწინებში. ზამთარი აქ ადრე იწყება. პირველი ყინვები მოსალოდნელია ნოემბრის დასაწყისში, ბოლო კი აპრილის დამდეგსაც ემთხვევა. უყინვო პერიოდის ხანგრძლიობა 170 - 200 დღეს შეადგენს. ამ პერიოდში დაგროვილ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500⁰ აღწევს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მევენახეობის განვითარებისათვის.

საინტერესოა, რომ რაიონის მთელ ტერიტორიის უმეტესი ფართობი სამხრეთული და სამხრეთ-დასავლეთური ექსპოზიციის ფერდობებს უჭირავს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მთელი წლის განმავლობაში ზომიერად თბილ ამინდებს. რაიონში გარკვეული ფართობი უკავიათ ისეთ ფერდობებს ან არეალებს, რომლებიც თავისი ჩრდილოეთური ან ჩრდილო-დასავლური ექსპოზიციის გამო შედარებით დიდხანს ინარჩუნებენ თოვლის საფარს.

წყლის რესურსები. ამბროლაურის რაიონი მდიდარია შიგა წყლებით. მდინარეები უმეტესწილად საზღოობენ მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლებით, ნაწილობრივ კი მყინვარებით. რთული რელიეფი, ატმოსფერული ნალექების სიუხვესთან ერთად, განსაზღვრავს ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის არსებობას. წყლის მთავარი არტერიის მდ. რიონის ხეობის ფერდობები ძირითადად ციცაბოა, ხოლო მათ ძირზე ციცაბო კლდეებია აღმართული. ფერდობის ზედაპირები დაკვეთილია ღრმა და ვიწრო გვერდითი შენაკადების ხეობებით, ღარტაფებითა და ხრამებით. მათ ხშირად ღვარცოფული ხასიათი აქვთ, მოაქვთ უზარმაზარი დაქუცმაცებული მასალა, რითაც წარმოქმნიან გამოზიდვის კონუსებს.

მიწის რესურსები. ამბროლაურის რაიონის რელიეფი, ქვეფენილი ქანები, მცენარეული საფარი და კლიმატური პირობები (ადამიანის სამეურნეო მოქმედებასთან ერთად) განსაზღვრავენ ნიადაგური საფარის ნაირგვარობას. რაიონში, მთა-გორიანი რელიეფის პირობებში გავრცელებულია მთა-მდელოს ალპური და სუბალპური ნიადაგები. მათ ქვედა ზოლში გამოყოფილია ყომრალი და კორდიან-კარბონატული ნიადაგები. მდინარეთა ტერასებზე მცირე გავრცელებით ხასიათ-დება ალუვიური ნიადაგები.

მთა-მდელოთა ნიადაგებს უკავია ყველაზე მაღალი პოზიცია კავკასიონის მაღალმთიან მხარეში. ისინი ვითარდებიან მაღალმთიანი მხარეების სუბალპურ და ალპურ ზონაში სქელი ბალახოვანი მცენარეულობის ქვეშ და ზემოდან საზღვრავენ მთა-ტყეთა

ნიადაგებს. ვერტიკალური გავრცელებით მათ უკავიათ ზ. დ. 1800-2000 მ-დან 2800-3000 მ-მდე სარტყელი.

ამბროლაურის რაიონში ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია მთა-გორიანი რთული რელიეფის პირობებში, რაც გამოწვეულია რეგიონის რთული გეოლოგიური აგებულებით, ქანების ლითოლოგიური შედგენილობით. მიწათმოქმედებაში ამბროლაურის რაიონის ყომრალ ნიადაგებს დიდი გამოყენება აქვს. ტყის ყომრალი ნიადაგების გავრცელების არეში ზედაპირული ეროზია ძლიერაა განვითარებული.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები ამბროლაურის რაიონში მთა-გორიანი რელიეფის პირობებში ფართოდაა გავრცელებული სოფლების: ხოტევის, ცახის, ბოსტანას, ხვანჭკარას, ამბროლაურის, ჭრებალოს, ჭყვიშის, ხიდისკარის, ძირეგულის, ზნაკვას, ილუდის, ველევის, სხვაკვას, წესის, ჭელიაღელეს, ნამანევის ტერიტორიებზე.

ალუვიური ნიადაგები ამბროლაურის რაიონში გავრცელებულია მდ. რიონისა და მისი შენაკადების გასწვრივ ვაკე და ტალღოვან ვაკე რელიეფის პირობებში, და მეტნაკლები სიგანის ზოლების სახით გასდევს მდინარეებს.

ამბროლაურის რაიონი, ისევე როგორც ყველა მთიანი რეგიონი, მცირე მიწიანობით გამოირჩევა. სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია დარგებით: მევენახეობა, მეცხოველეობა, მარცვლეულის მეურნეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. ამბროლაური რაიონში სახნავი მიწების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია მდინარეთა ხეობების ტერასებთან და პროლუვიურ, აკუმულაციურ ვაკეებთან, რომელთაც სწორი და მცირე დახრილობის ზედაპირი ახასიათებთ. მდ. რიონის ჭალები და ჭალისზედა ტერასები სწორედ ასეთ აკუმულაციურ ვაკეებს წარმოადგენენ და ნაყოფიერი, ალუვიური ნიადაგებით არიან. მცირე ფართობები უკავია მრავალწლიან ნარგავობას _ ვენახს და ხეხილის ბაღებს. მევენახეობის არაორდინალური პროდუქცია რაიონში ამ კულტურით დაკავებული ფართობების ზრდის გარანტიია.

მდ. რიონის მარჯვენა ფერდობი, სოფ. ჭყვიშის, ჭრებალოს, ხვანჭკარის, ჩორჯოს, ტოლას, სადმელის და კვაცხუთის მიდამოებში ხასიათდება უმეტესწილად ციცაბო ფერდობებით და სახნავი მიწების სიმცირით. ნიადაგის ფენა მცირე სიმძლავრის, ხშირად ძლიერ გადარეცხილი და ხირხატიანია, ამიტომ აქ წამყვანი როლი ისეთ კულტურებს გააჩნიათ, რომელიც არ მოითხოვს დიდი სიმძლავრის და კარგად დანესტიანებულ ნიადაგს. ვაზისათვის და ხეხილის ნარგავებისათვის ასეთი გამოზიდვის კონუსები და სამხრეთი ექსპოზიციის, კარგად განათებული ფერდობები საუკეთესო ეკოლოგიურ გარემოს ქმნის. ამიტომ ეს ზოლი თავისი ნიადაგური და ჰიდროთერმული პირობების მიხედვით მევენახეობისათვის იდეალურ მონაკვეთად შეიძლება ჩაითვალოს.

მდ. რიონის მარცხენა ფერდობი ასევე არ გამოირჩევა სახნავი მიწების სიჭარბით. აქ მეტწილად წარმოდგენილია საშუალო დახრილობის უსწორმასწორო ფერდობები, რომლებიც ძველი ტერასებით ან მეწყრული სხეულების მოვაკებული ზედაპირებით იცვლება. ეს ზოლი ჰიფსომეტრიულად 1000-1200 მ-მდე ვრცელდება და მოიცავს: სოფ. საკეციის, ზნაკვის, ბუგეულის, ქედისუბნის, შავრას, ლადიშის, ცახის და ღვარდიის

მიმდებარე ტერიტორიებს. აქ განვითარებულია აქტიური მეწყურული პროცესები, რაც ამცირებს მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ტერიტორიის ფართობს. ხეხილისათვის და ვენახებისათვის შედარებით მშრალი და კარგად განათებული ფერდობები გამოიყენება. საერთოდ, ამ ზოლში მევენახეობისათვის ბევრად უარესი პირობებია, ვიდრე ხვანჭკარა-სადმელის მონაკვეთში. ამიტომ ვენახებს გაცილებით მცირე ფართობი უკავიათ (ზნაკვას და ქედისუბნის გამოკლებით).

მდ. ლუხუნის ხეობაში სახნავი მიწები ძირითადად გამოყენებულია მარცვლეული და პარკოსანი კულტურებისათვის, კარტოფილის ნათესებისათვის. შედარებით მცირე ფართობი უკავია ვენახს და ხეხილის ნარგავებს. მიწათმო-ქმედებისათვის ვარგისი მიწები მაქსიმალურადაა ათვისებული.

რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობები და შაორის წყალსაცავის მიმდებარე ადგილები გამოირჩევა ძლიერ ციკაბო, კლდოვანი რელიეფით, სადაც მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარია. ვენახები მეტად მცირე ფართობებზეა წარმოდგენილი და ეს სრულიად გამართლებულიცაა, რადგან აქ მეტად არახელსაყრელი პირობებია მევენახეობისათვის.

მოსახლეობა. 1998 წლის 1 იანვრის მონაცემებით ამბროლაურის რაიონში 16030 კაცი ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0.33%-ს შეადგენს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 14 კაცი 1კვ.კმ_ზე, რაც თითქმის 6-ჯერ ნაკლებია საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე. 2014 წლის მონაცემებით 9139 ადამიანი ცხოვრობს, სიმჭიდროვე 8,0 კაცი/კმ²-ზე. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ იგი მეტად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება. შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა (20%), მოსახლეობის

ცაგერი- მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მხარეში, მისი ფართობი 75 000 ჰექტარია, ესაზღვრება ლენტეხის, ამბროლაურის, წყალტუბოს და ხონის მუნიციპალიტეტები.

რელიეფი. რელიეფის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის შექმნაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ოროჰიფსომეტრიულ ელემენტებს: ქედებს, ქვაბულებს, განიერ და ვიწრო ხეობებს. რელიეფის ოროგრაფიული და ჰიფსომეტრიული კარკასს ქმნის მდ. ცხენისწყალის ხეობა მისი წყალგამყოფი ქედებით და ქვაბულებით. რელიეფის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ტექტონიკასთან ერთად ეროზიულ-დენუდაციურ და ძველ მყინვარულ პროცესებს ეკუთვნის. ძირითადი ხეობები სახეცვლილ ტროგებს წარმოადგენს. ეროზიული დანაწევრების სიღრმე 1000-1200 მეტრია. ცაგერის ტერიტორიის დიდი ნაწილი მაღალმთიან ზონაშია, ამიტომ ბუნებრივი საფრთხეები განსაკუთრებით აქტიურია. მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა: ძლიერი ქარი, წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მდინარის ნაპირების ეროზია, გვალვა და სეტყვა. უკანასკნელ ათწლეულში, აღნიშნული კატასტროფები გაძლიერდა, განსაკუთრებით გახშირდა ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, მდ. ნაპირების წარეცხვა, გვალვა და სეტყვა. მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა დიდთოვლიანი ზამთარი, თოვლის ზვავების გამო თითქმის ყოველ ზამთარს ზიანდება საავტომობილო გზები.

ჰავა. რეგიონის ჰავა ზომიერად ტენიანი და თბილია. აქ საშუალო წლიური ტემპერატურები +11,4⁰-დან +3,2⁰-მდე მერყეობს. იანვრის საშუალო ტემპერატურა ცაგერში 00-ის ტოლია. უთბილესი თვის (აგვისტოს) საშუალო ტემპერატურა შესაბამისად +22⁰-ს, +20,1⁰-ს და +13⁰-ს უდრის. აბსოლუტური მინიმუმი შეადგენს 26°C-ს, მაქსიმუმი კი 41°C -ია. ნალექები თითქმის თანაბრადაა განაწილებული და 1095 მმ-დან (ალპანა) 1276 მმ-მდე (ყორულდაში) მერყეობს. ამგვარი ვითარება ქვაბულის ეფექტითაა განპირობებული. თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი დიდი მერყეობით გამოირჩევა. იგი ცაგერში 54 დღის ტოლია წელიწადში. ჰაერის ტემპერატურასთან და მზის რადიაციის მაჩვენებლებთან დაკავშირებულია საშუალო წლიური აორთქლება, რაც თავის მხრივ მოქმედებს საშუალო წლიურ ჩამონადენზე და საბოლოო ჯამში წყლის რესურსებზე. აორთქლების მაქსიმალური მაჩვენებლები (650-750 მმ) დამახასიათებელია ლეჩხუმისა და ლენტეხის ქვაბულებისა და მიმდინარე დაბალი მთებისთვის, საშუალო (500-600 მმ) ტყიანი ლანდშაფტებისთვის, ხოლო მინიმალური (400-500 მმ) მაღალი მთებისთვის.

წყლის რესურსები. რეგიონის მთავარი მდინარეა ცხენისწყალი, ნაწილობრივ რიონი და ლაჯანური, რომლებიც ქმნიან ვიწრო ხეობებს, ძლიერ დაქანებული კალთებით. ცხენისწყალს სათავე ლენტეხის რაიონშია, ზღ. დონიდან 2707 მეტრზე. მდინარეები ხასიათდებიან შერეული საზრდოობით, ძირითადად – თოვლის ნადნობი, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით. მდ. ცხენისწყლის ჩამონადენი ძირითადად საშუალო მთის, სუბალპურ და ალპურ ზონაში ყალიბდება. მისი წყალშემკრები აუზის ენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც ძირითადად ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში ყალიბდება, მილიონ კვტ. სთ-ს აღწევს. ენერგეტიკული პოტენციალის ფორმირება, გარდა ნალექებისა, დაკავშირებულია რეგიონის ტყიანობასთან. ცაგერის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა წყლის რესურსები გამოიყენება მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის. არსებული წყლის რესურსები მუნიციპალიტეტის ზოგ სოფელში საკმარისია მოსახლეობისთვის, ზოგ სოფელში კი სასმელი წყლის პრობლემაა.

მიწის რესურსები. რეგიონი სოფლის მეურნეობის ორ ზონას მოიცავს. ცაგერის რაიონი შედის მევენახეობის სპეციალიზაციის ზონაში. ამგვარი სპეციალიზაცია განპირობებულია როგორც აგროკლიმატური პირობებით, ისე მიწის რესურსების (ფონდის) თავისებურებებით. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგია. სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობი 14 863 ჰა-ია, აქედან სავარგულების 7% – 1093 ჰა დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით, მიწების დიდი ნაწილი, სათიბ-სამოვარია. მონაცემები სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ 2004 წელსაა შეგროვებული. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, ბოლო ათწლეულში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შემცირდა, მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულია: ვაზი, ცაგერი მდიდარია ასევე სხვადასხვა სახეობის ხილით. საკვლევ რეგიონში, უკანასკნელ წლებში, მეურნეობის არაერთმა დარგმა განიცადა დეგრადაცია. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად შენარჩუნებულ იქნა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, მრეწველობის საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა აღარ ფუნქციონირებს.

მოსახლეობა. ცაგერის ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა 2012 წლის მდგომარეობით 16 535 კაცია, მოსახლეობის სიმჭიდროვე 22 კაცი/კმ²-ზე. 2014 წლის მონაცემებით კი 10 387 კაცი, ხოლო სიმჭიდროვე 13,7 კაცი/კმ²-ზე. მუნიციპალიტეტში სულ 59 დასახლებაა, 58 სოფელი და ერთი ქალაქი – ცაგერი, რომელიც მუნიციპალური ცენტრია.

3.რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა

1742 წელს ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: “არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანზისა...”. “გველის-თავს ზეით რიონს მოერთვის ტოლის-ხევი... და არს ხეობა ესე ხილ-ვენახიანი”. “და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა..., მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანზისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი”; „...ძირს ფერდობები დამშვენებულია ადამიანის ხელით ყველაზე ძლიერ გარდაქმნილი მცენარით – ვაზით, ზვრებით და ვენახებით, სახნავ-სათესით და შესანიშნავი ბაღებით“.

რაჭა-ლეჩხუმი საკმაოდ მდიდარია ვაზის ჯიშებით. რაიონში 50-ზე მეტი მარტო ადგილობრივი ვაზის ჯიში ითვლება. ამათ გარდა მცირე რაოდენობით გვხვდება საქართველოს სხვა რაიონების ვაზის ჯიშებიც. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმის ჯიშები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საქართველოს სხვა რაიონის ჯიშებისაგან. რაჭა-ლეჩხუმის ჯიშები სიმწიფის პერიოდის მხრივ ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ძირითადად ისინი სიმწიფის II და III პერიოდს მიეკუთვნებიან.

რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონა მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. რაჭა-ლეჩხუმის კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია მევენახეობის განვითარებისათვის. მევენახეობის გავრცელების უკიდურეს საზღვრად მხარეში ითვლება 1100-1200 მ სიმაღლე ზღვის დონიდან, მაგრამ ამ სიმაღლეზე სამეურნეო ვენახები არ გვხვდება. რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მევენახეობის განვითარებას და ხარისხოვანი ღვინოების წარმოებას. მეღვინეობა-მევენახეობის თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად რაიონად, რომელთაგან ორი უკანასკნელი ამ მხარეში ითვლება საუკეთესოდ.

1. ზემო რაჭა (ონის ადმინისტრაციული რაიონი);

2. ქვემო რაჭა (ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონი) ;

3. ლეჩხუმი (ცაგერის ადმინისტრაციული რაიონი);

1) ზემო რაჭა ჰავის მიხედვით სხვა რაიონებთან შედარებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფება იმის გამო, რომ მისი სავენახე ფართობების დიდი ნაწილი ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზეა მოქცეული (ონი 830 მ) და ზოგიერთი ადგილობრივი ვაზის ჯიშში ყველგან და ყოველ წელს ვერ აღწევს სრულ სიმწიფეს. მეორე ადგილი როგორც ვენახების ფართობის, ისე მიღებული პროდუქციის ხარისხის მხრივ ზემო რაჭას უკავია. ზემო რაჭის ტერიტორია თითქმის მთლიანად მთაგორიანია, ჰავა მკაცრია და ამიტომ ვენახები უფრო დაცულ ხეობებში გვხვდება. ვენახები 1000-1200 მეტრის სიმაღლეზე გვხვდება ზღვის დონიდან, ყურმენი კარგად დამწიფებას ვერ ასწრებს და მისგან უხარისხო ღვინოები დგება, ამიტომ ზემო რაჭაში მევენახეობა-მეღვინეობას საწარმოო ხასიათი არა აქვს.

2) ქვემო რაჭას მდინარე რიონი ყოფს მარცხენა და მარჯვენა მხარედ. რაიონის მარჯვენა მხარის მევენახეობის ძირითადი მიმართულებაა ნახევრად ტკბილი “ხვანჭკარას” ტიპის ღვინოების წარმოება, ხოლო მარცხენა მხარისა - სუფრის ხარისხოვანი, ძირითადად, თეთრი ღვინოების წარმოება. მეღვინეობის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ქვემო რაჭა ანუ ამბროლაურის რაიონი, სადაც ბუნებრივი პირობები უფრო უწყობს ხელს ვაზის კულტურის გავრცელებას და ხარისხოვანი პროდუქციის მიღებას. ქვემო რაჭას, თავის მხრივ, მდინარე რიონი ორ ერთიმეორისაგან განსხვავებულ, მარჯვენა და მარცხენა ნაწილად ჰყოფს. მარჯვენა ნაწილში ვენახები გაშენებულია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე. ქვემო რაჭაში ცნობილია მეღვინეობის თვალსაზრისით კიდევ ერთი ბუგეულ-ამბროლაურის მხარე. ექსპოზიციით, ნიადაგებით და სხვა პირობებით ეს მხარე სრულიად განსხვავებულია მის მოპირდაპირედ რიონის მარჯვნივ მდებარე ადგილებიდან. აქ ვენახები გაშენებულია ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კალთებზე. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ამართული მთის კალთების გამო ვენახები აქ რამდენიმე საათით (ორი საათით მაინც) დღეში დაჩრდილული, აქ თეთრი ჯიშები უფრო კარგ პროდუქტს იძლევა ვიდრე წითლები.

3) ლეჩხუმში შედის ცაგერის რაიონი. ვენახები გაშენებულია შედარებით ნაკლებ დაქანებულ კალთებზე. ამ ხეობებში ვენახები იძლევა სხვადასხვა სახის პროდუქციას. ლეჩხუმის ნიადაგები, რომლებზედაც ვენახებია გაშენებული, მრავალი სახისაა, გვხვდება

როგორც ლორდიანი, კალციუმის კარბონატის საკმაო რაოდენობით შემცველობის, ისე ეწერი და მძიმე თიხნარი ნიადაგებიც.

ვენახების ფართობის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმს დასავლეთ საქართველოში მეორე ადგილი უკავია. ვენახების ფართობის ცვლილება დროთა განმავლობაში ხდებოდა და ძირითადად ტენდენცია შემცირებისკენაა მიმართული, თავდაპირველად ეს დაავადებათა გავრცელების გამო მოხდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს მიგრაციის უარყოფით პროცესებს უკავსირდება, ჯერ კიდევ 1880-1890 წლებში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რაჭის მაზრაში ითვლებოდა 5,670 ჰექტარამდე ვენახი.

ვენახების ფართობი საქართველოში 1980-2006 წლებში¹ (ათ. ჰექტარი)

მხარე	1980	1990 წ.	1995 წ.	2000 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
რაჭა-ლეჩხუმი	2,731	2,705	2,305	1,474	1,4	1,4	1,4

ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე (2006წ.)

„რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის“ მონაცემებით რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო მოცულობა 108,8 ათას ჰექტარს შეადგენს. 2011 წელს ვენახის ფართობებმა რეგიონში 1708 ჰა შეადგინა. მაგრამ ვენახების კადასტრის 2014 წლის მონაცემებით რაჭასა დალეჩხუმში სამეურნეო ვენახების ფართობი 845 ჰექტარია, თუმცა აქ მოცემულია ინფორმაცია იმ სამრეწველო ვენახების შესახებ, რომელთა ზომებიც აღემატება (მეტია) 0.1 ჰექტარს.

4. რაჭა-ლეჩხუმის ძირითადი მიკროზონები და სამეურნეო ჯიშები

საქართველოს ტერიტორიის ზედაპირის დიდმა სირთულემ და მასთან დაკავშირებულმა ჰავის და ნიადაგური პირობების სხვადასხვაობამ წინასწარ განსაზღვრა და ხელი შეუწყო ჯიშების შესაფერ განლაგებას ცალკეული რაიონების მიხედვით. საქართველო, ბუნებრივ-ისტორიული პირობების მიხედვით, იყოფა ორ საგრძნობლად განსხვავებულ

აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად, ხოლო თითოეული მათგანი მევენახეობის ცალკეულ მხარედ.

რაჭა-ლეჩხუმის ჯიშები: ალექსანდროული, ალექსანდროული თეთრი, ალექსანდროული ძველი, ალემი, არაბული თეთრი, არაბული შავი, აფხაზური, ბახვა, ბეროულა, ბელარიანი, ბუტკუ, გამოყვანილი, თბილური, თვალდამწვრისეული, კაპისტონი თეთრი, კაპისტონი შავი, კაპისტონი წიწილიანი, კაპისტონი გაღმორი, კირწითელა, კორტნულა, კუდურაული, მელისკუდა, მოქათური, მსხვილთვალა, მუჯურეთული, მცვივანი რაჭული, მწვანე რაჭული, ნაკუთენეული, ნაცარა, ნოშირო, ოჯალეში ორბელური, რცხილი, სამაჭრე, ურიშულა, უსახელოური, უწყვეტი, ფაჩხა ფეროვანი, ფერუანი, ყვირა, ყორნისთვალა, ცხვედიანის თეთრა, წითელური, წულუკიდის თეთრა, წმინდა თეთრი, ჭუბულო, ხიხვა რაჭული, ხიხვა ლეჩხუმის, ხოტეურა, ხროკი და სხვ. ადგილობრივ აყენებდნენ შესანიშნავ ღვინოებს: ხვანჭკარას, წულუკიდის თეთრას, უსახელოურს, ორბელის ოჯალეშს და სხვ.

მევენახეობის თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმი მოქცეულია **IV. საქართველოს შუამთის მევენახეობის სარტყელში, რომელიც შეიცავს:** რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივად ტკბილი ღვინოების ქვესარტყელს.

საქართველოს შუამთის სარტყელი თავისი ბუნებრივი პირობებით და სოფლის მეურნეობის ტიპებით საკმაოდ მრავალფეროვანია. მოცემულ ზოლში არის რაიონები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მევენახეობა-მეღვინეობის რაიონები, ასეთია რაჭა-ლეჩხუმი. ცნობილია, რომ ამბროლაურის რაიონი ისეთი უნიკალური მეღვინეობის რაიონია, როგორც არის “ხვანჭკარა” და “წულუკიდის თეთრა”. რაჭა-ლეჩხუმის ქვაბულის სიმაღლე ზღვის დონიდან 800-900- მ-ს არ აღემატება. ამ მხარისათვის დამახასიათებელია ყომრალი ნიადაგები, უფრო მაღლა ზონებში კი გავრცელებულია გაეწრებული ნიადაგები. საკმაოდ დიდი ხეობა ან ქვაბული შემოზღუდულია მაღალი მთებით, რომელთა საერთოდ შვეული ფერდობები კირქვებისაგან არის შექმნილი (ტვიში) და ეს მთები არ უშვებენ ამ ხეობისაკენ მთის ცივ ჰავას, ქარს; ამავე დროს სამხრეთისკენ მიქცეული შვეული ფერდობები მზისაგან ხურდება, ღამით ხდება მისი გამოსხივება, რაც ანელებს მთის ღამის სუსხს, ყოველივე ეს კი ქმნის თავისებურ მიკროკლიმატს. ასეა ლეჩხუმში (უსახელოური), რაჭაში, განსაკუთრებით ამბროლაურის რაიონში (ხვანჭკარა) და სხვა.

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ზონები დაყოფილია ასევე ზონებად, ქვეზონებად და მიკროზონებად.

IV ზონაა: რაჭა-ლეჩხუმი, რომელიც იყოფა ქვემო რაჭის, ლეჩხუმის ქვეზონებად და თავის მხრივ ხვანჭკარის და ტვიშის მიკროზონებად. ვენახების გავრცელების ძირითად ზონაში (ზღვის დონიდან 800მ-დე) აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000⁰-3650⁰C-ს ფარგლებშია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 9,5–11,4⁰C ფარგლებში ცვალებადობს. მდინარე რიონის სანაპირო ზოლში ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 16-17⁰C-ს აღწევს (დროის მცირე ხანგრძლივობისთვის). ამრიგად, დაბალ ადგილებში უშუალოდ მდინარის პირას ვენახების გაშენება არ არის რეკომენდებული. დიდი გავრცელება აქვს ნეშომძალა-კარბონატულ ნიადაგებს. სწორედ ამ ნიადაგებზეა განლაგებული უნიკალური მიკროზონები აბორიგენული ჯიშებით: ხვანჭკარა, სადმელი, ტოლია, ორბელი და სხვ. სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, გაშენებულია აქაური ადგილობრივი ვაზის ჯიშები, რომლებიც შაქრის დაგროვების მაღალი უნარით ხასიათდება, საქვეყნოდ არის აღიარებული წარმოშობის ადგილის დასახელების ნახევრადტკბილი ღვინო „ხვანჭკარა“, ამავე სახელწოდების ხვანჭკარა–სადმელის მიკროზონიდან, ჯიშების – ალექსანდროულისა და მუჯურეთულისაგან. „ტვიშის მიკრორაიონში, იმერული ჯიშის ცოლიკოურისაგან მიიღება ბუნებრივად ნახევრადტკბილი თეთრი ღვინო, ამავე ადგილის „ტვიშის“ სახელწოდებით.

ალექსანდროული

ალექსანდროული ადგილობრივი (რაჭული) მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშია. იგი გავრცელებულია ძირითადად რაჭა-ლეჩხუმში. ალექსანდროული რიონის მარჯვენა მხარეზე ტოლა-ხვანჭკარის მიკრორაიონში იძლევა ორიგინალურ ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოს, ფართოდ ცნობილ „ხვანჭკარას“ სახელწოდებით, ხოლო დანარჩენ რაიონებში სუფრის ხარისხოვან წითელ ღვინოს. ჯიშის ახასიათებს პროდუქციის მაღალი ხარისხი. ახასიათებს შედარებით კარგი გამძლეობა დაავადებებისა და გვალვის მიმართ, აგრეთვე მიდრეკილება ყურძნის გადამწიფებისას მარცვლების ჭკნობის. ჯიშის უარყოფით თვისებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მცირე მოსავლიანობა. ალექსანდროული შედარებით კარგად უძლებს ზამთრის ყინვებს. რაჭა-ლეჩხუმში ყინვების სიძლიერე ხშირად -16-18⁰ აღწევს. ზამთრის ასეთ ყინვებს ალექსანდროული, სხვა ადგილობრივ ჯიშებთან ერთად, კარგად იტანს, ან

უმნიშვნელოდ ზიანდება მისგან. იგი შედარებით კარგად უძლებს აგრეთვე გვალვებსაც, ძირითადად გავრცელებულია სუსტად დაქანებულ ფერდობებზე, სადაც მისი განვითარებისთვის კარგი პირობები იქმნება. შედარებით უფრო მეტად დაქანებულ მშრალ, ხირხატთან, საკმაოდ მწირ ნიადაგებზე, თუმცა მისი ზრდა-განვითარება სუსტია და მოსავალი მცირე, მაგრამ წვენი უფრო ტკბილია და ღვინოც მაღალხარისხოვანი დგება. ნიადაგების მიმართ ალექსანდროული განსაკუთრებულ მოთხოვნას არ აყენებს, იგი კარგად ვითარდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, მაგრამ მაღალხარისხოვან პროდუქტს (ღვინოს) იძლევა კირნარ ქვეთიხნარ და ხირხატ ნიადაგზე. ალექსანდროული შედარებით კარგად ხარობს აგრეთვე მძიმე თიხნარ ნიადაგებზედაც. ალექსანდროულის მოსავალი და მისი ხარისხი ვენახების ადგილმდებარეობასა და ნიადაგურ პირობების გარდა დამოკიდებულია აგრეთვე წლის მეტეოროლოგიურ პირობებზე, ძირითადად, თბილ სავეგეტაციო პერიოდზე და ნალექების თანაბარ განაწილებაზე.

მუჯურეთული

რაჭა_ლეჩხუმში მუჯურეთული ვაზის ჯიშის მოსავლიანობა მცირეა. მუჯურეთული ზამთრის ყინვებს შედარებით კარგად უძლებს. ადვილად იტანს რაჭა_ლეჩხუმის სუსხიან ზამთარს. ამით ის რაჭა_ლეჩხუმის მთავარ საწარმოო ჯიშებს არ ჩამოუვარდება. მუჯურეთული ასევე გვალვის კარგი ამტანი ჯიშია, კარგად ვითარდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე. ნიადაგის მიმართ ნაკლებ პრეტენზიულია და კარგად ვითარდება რეგიონის თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, თუმცა შედარებით უკეთ ვითარდება ალუვიურ და კირიან ნიადაგებზე. მაღალი ხაზრისხის ღვინოს მუჯურეთული მთაგორაკებზე განლაგებულ კირნარ ნიადაგებზე გაშენებულ ვენახებიდან იძლევა. მუჯურეთული ადგილობრივი, სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშია. გავრცელებულია ალექსანდროულთან ერთად. რაჭაში მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე ტოლა_ხვანჭკარის მიკრორაიონში იგი ალექსანდროულთან ერთად იძლევა მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს, ხოლო დანარჩენ ადგილებში სუფრის ხარისხოვან წითელ ღვინოს. ჯიშის ახასიათებს პროდუქციის მაღალი ხარისხი, შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების უნარი და გადამწიფებისას მარცვლების ჭკვნობისადმი მიდრეკილება. ჯიში ხასიათდება აგრეთვე გვალვებისა და ზამთრის ყინვების მიმართ შედარებით კარგი გამძლეობით.

წულუკიდის თეთრა

რაჭა-ლეჩხუმში წულუკიდის თეთრა ყინვების მიმართ საშუალო გამძლეობით ხასიათდება. რაჭა-ლეჩხუმში ზამთრის ყინვები ხშირად -15-16° აღწევს. ასეთ ყინვებს წულუკიდის თეთრა კარგად იტანს და იშვიათად ზიანდება. წულუკიდის თეთრა ნიადაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, კარგად ვითარდება რაჭა-ლეჩხუმის თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, მაგრამ მაღალი ხარისხის ღვინოს იგი იძლევა ფერდობებზე განლაგებულ კირნარ-თიხნარ და ნეშომპალა-კარბონატულ ტიპის ნიადაგებზე. წულუკიდის თეთრა ადგილობრივი, სიმწიფის II პერიოდის ვაზის ჯიშია. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, ახასიათებს შედარებით მაღალ მოსავლიანობა, დაავადებების მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა, მაგრამ ძლიერ უარყოფითად მოქმედებს კლიმატის ცვლილებები, განსაკუთრებით წვიმა. ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე მევენახეობის სამხრეთ და მაღალმთიან რაიონებში გასავრცელებლად.

ცოლიკოური

ცოლიკოური დაავადებების მიმართ მაღალი გამძლეობით ხასიათდება. სუსხიან ზამთრის პირობებში ცოლიკოური ყველა სტანდარტულ ჯიშზე უფრო მეტად ზიანდება ყინვისაგან. ნიადაგების მიმართ ცოლიკოური ნაკლებად მომთხოვნი ჯიშია, კარგად ვითარდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე დაჭაობებული და მლაშე ნიადაგების გარდა, ხოლო მაღალხარისხოვან პროდუქტს ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე იძლევა. რაჭა-ლეჩხუმში, ძირითადად, ცაგერის რაიონში ცოლიკოური იძლევა მეტად საინტერესო ბუნებრივ ნახევრადტკბილ ღვინოს, განსაკუთრებულ ღვინოს ცოლიკოური იძლევა სოფ. ტვიში და მის მახლობელ სოფლებში. ცოლიკოური ადგილობრივი, იმერული ვაზის ჯიშია, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ხასიათდება საშუალო და საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით, ღვინის მაღალი ხარისხით და გარემო პირობებისადმი კარგი შეგუებით. ყველა ამ დადებით თვისებებმა უზრუნველყვეს ჯიშის შედარებით სწრაფი და ფართო გავრცელება მთელ დასავლეთ საქართველოში. ცოლიკოური უნივერსალური ჯიში გახდა დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის და თითქმის ყველა ადგილმდებარეობისათვის. ჯიშის უარყოფით თვისებას უნდა მიეკუთვნოს ზამთრის ყინვების მიმართ სუსტი გამძლეობა და მისი გვიანი სიმწიფის თვისება.

უსახელოური

უსახელოური მგრძნობიარეა გაზაფხულის წაყინვების მიმართ და სხვა ჯიშებზე უფრო მეტად ზიანდება მისგან. ნიადაგებს იგი განსაკუთრებულ მოთხოვნას არ უყენებს, კარგად ვითარდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, გარდა დაჭაობებული და ეწერი ნიადაგებისა, მაგრამ მაღალი ხარისხის ღვინოს უსახელოური იძლევა მთის ფერდობებზე, ქვეთიხნარ ხირხატ, კირით მდიდარ ნიადაგებზე. გავრცელებულია ლეჩხუმში _ ზუბო_ოყურემისა და ოფიტარა_მახურას ზონაში. ჯიში გავრცელებულია ძირითადად წმინდა ნარგავების სახით, ხოლო რაჭა_ლეჩხუმის რაიონებში იგი მცირე რაოდენობით ნარევის სახითაც გვხვდება. ჯიშის უარყოფით თვისებებს მიეკუთვნება მისი შედარებით სუსტი გამძლეობა ავადმყოფობათა მიმართ და ახასიათებს პირველი მოსავლის დაგვიანება.

დასკვნა

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს და მევენახეობის ცნობილ რაიონებში მას უნდა გამოეყოს უფრო მეტი ფართობი, მევენახეობის ზრდა უნდა მოხდეს ახალი ფართობების ათვისებით ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად იმ გეოგრაფიულ რაიონებში, სადაც დღემდე არ ყოფილა გავრცელებული (მთიანი ნაწილი 1000-1300 მ სიმაღლემდე) და სადაც წინათ იყო, მაგრამ გარკვეული პირობების გამო განადგურდა. ასევე უნდა მოხდეს სამეურნეო ტერიტორიების დიფერენცირება, ვენახი უნდა დაირგას მხოლოდ აპრობირებულ, ადგილწარმოშობის მიხედვით შერჩეულ სავენახე ადგილებში რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის. მიუხედავად იმისა რომ რაჭა-ლეჩხუმი ძლიან საინტერესო რაგიონია მეღვინეობის თვალსაზრისით, ამ მხარის ბუნებრივი რესურსები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი. სასურველია რაჭა-ლეჩხუმში გამოინახოს ახალი მიკრორაიონები და მიკროზონები, როგორცაა მაგალითად „ორბელის მიკროზონა“ რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც ითვლება პერსპექტიულ მიკროზონად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი - "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა
<https://wikisource.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90,%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90,%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90>
2. <http://vinoge.com/mikrozonebi/raWa-leCxumis-meRvineobis-raioni> ნიკოლოზ გელაშვილის წიგნიდან, "მეღვინეობა" (1961)
3. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II. თბილისი, 1934. მევენახეობა
4. ბაგრატიონი ვახუშტი. ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა, ბროსეტის რედაქციით, 1842.
5. ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
6. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი 12 ტომად. ტომი. V. თბილისი. გამომცემლობა "მეცნიერება".
7. https://allwine.ge/ka/blog/sad-aris-venaxis-wesmariti-sasad-aris-venaxis-wesmariti-samsoblo-msoblo_1735/
8. <https://agronews.ge/mevenakheobis-mokle-istoria-da-ganvitharebis-perspeqtivebi/>
9. ანა გოდაბრელიძე, ვაჟა გოცირიძე, ტექნიკური უნივერსიტეტი „მევენახეობა“ გვ 36.; გვ 18, 2009წ
10. <https://khasaia.wordpress.com/2018/12/18/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%9D/>
11. „ვენახეობის კადასტრის თანამედროვე სისტემის დანერგვა საქართველოში“ ირმა მდინარაძე, დავით მალრაძე „საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები“
12. ლალი ოქროცვარიძე საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი ((მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და

პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე) 2008წ. <http://el.ge/articles/20238#pdfViewerModal>

13. საქართველოს ამპელოგრაფია. ნ.კეცხოველი; მ.რამიშვილი; დ.ტაბიძე საქართველოს მევენახეობა და მისი ბუნებრივი პირობები გვ.23; გვ.44; გვ.94;
14. „საქართველოს მევენახეობის სპეციფიკური მიკროზონები“ გვ46 თ. დეკანოსიძე გ. მირველაშვილი 2010წ.
15. <http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5198/4/shardenis%20mogzauroba.pdf>
16. http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/54_tsageri.pdf
17. ნ. ელიზბარაშვილი; ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის (ბაზისის) შესწავლა ტყეთმომწყობის ზონირებისათვის (ამბროლაურის რაიონი) თბილისი 2002წ.
18. ნ. ელიზბარაშვილი; ლენტეხის რაიონის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის შედგენა ტყეთსარგებლობის ზონირებისა და დაგეგმარებისათვის (საბოლოო ანგარიში) თბილისი 2005წ.